საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 2

09.03.2022

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, დემეტრაშვილი დემური, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ნადარეიშვილი ვახტანგ, სალუქვაძე იოსებ, ხუციშვილი ქეთევან, შალიკაშვილი მორის, ქადეიშვილი თორნიკე, ჭედია როინ, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)“ დოქტორანტ **თამარ ჩხაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მაკა ღანიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **დავით ჭურღულიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **სანდრო შერმადინის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ დოქტორანტ **კახა ფუტკარაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ონისიმე ცხომელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის ცვლილების შესახებ;
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ირმა ტყემალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თეონა მაისურაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
9. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **ელენე გოლოვაჩოვას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;
10. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ინგა სამხარაძის** რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)“ დოქტორანტ **თამარ ჩხაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორმა დიმიტრი ჩუბინიძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ფატალიზმი - ქართული კულტურული მოდელი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.
აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიამ აღნიშნა რომ ესწრებოდა დისერტაციის დაცვას. ნაშრომი იყო შესანიშნავი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის

დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ ჩხაიძისთვის** ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მაკა ღანიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, ასოც. პროფესორმა ლეილა ღუდუშაურმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის შეფასება COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში'' - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 95 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაკა ღანიაშვილისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **დავით ჭურღულიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა მაია კოპალეიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების სტადიაზე მშენებლობის უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინების პრობლემები“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 92 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა რომ ესწრებოდა დაცვას. იყო საინტერესო თემა, მეტად საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა. დოქტორანტის მიერ გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები მეტად მნიშვნელოვანია. დისერტანტს საკმაოდ სამშენებლო სფეროში

მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან დატოვა საკმაოდ განათლებული, ახალგაზრდა პროფესიონალი იურისტის შთაბეჭდილება. დისკუსია იყო დინამიური.

მოისმინეს: მ. კოპალეიშვილმა აღნიშნა რომ დოქტორანტმა კვლევითი ნაშრომით პირველმა დაიწყო ამ სფეროს შესწავლა.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **დავით ჭურღულიასთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **სანდრო შერმადინის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა კობა ყალიჩავამ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მისი დაცვის ადმინისტრაციული საპროცესო მექანიზმები“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 86 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა რომ ესწრებოდა დისერტაციის დაცვას, რომელიც 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. დოქტორანტმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა - დისკუსიის პროცესში იგი ფიქრობდა ყოველ შეკითხვაზე და აანალიზებდა თითოეულ მათგანს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სანდრო შერმადინისათვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ დოქტორანტ **კახა ფუტკარაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ,,რელიგიური კონფლიქტების პრევენცია საქართველოში (აჭარელ მუსლიმთა მაგალითზე)“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ; ქართველი და უცხოელი რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 81,63 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 2 პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. მესამე სტატიაზე არის წარმოდგენილი ცნობა. დოქტორანტი აკმაყოფილებს დისერტაციის დაცვის წინაპირობას?

მოისმინეს: რ. ჯორბენაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტების ჩაბარების პერიოდში დოქტორანტმა წარმოადგინა ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ, ახლა მესამე სტატიაც უკვე გამოქვეყნებულია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **კახა ფუტკარაძისთვის** სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ონისიმე ცხომელიძის** სადისერტაციო ნაშრომის ახალი რეცენზენტი. მან საბჭოს გააცნო ფაკულტეტიდან წარმოდგენილი კორესპონდენცია რეცენზენტის ცვლილების შესახებ.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ონისიმე ცხომელიძის** სადისერტაციო ნაშრომის ახალი რეცენზენტად - ვეფხვია გვარამია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი).

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ირმა ტყემალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია საქართველოში“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნაზირა კაკულია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი; მურმან ცარციძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ირმა ტყემალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) მამუკა ხუსკივაძე - თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) სლავა ფეტელავა - ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) რამაზ აბესაძე - თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ლია თოთლაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ე) გივი ბედიანაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) ნინო დამენია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ზ) გულნაზ ერქომაიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

თ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ი) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

კ) ნუგზარ პაიჭაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) ნატალია ხარაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

მ) თეა ლაზარაშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ) თამარ ლაზარიაშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ო) მარინა ტაბატაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თეონა მაისურაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: ,,ორგანიზაციული სტრესის მართვის სრულყოფა და მისი გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე (კერძო კომპანიების მაგალითზე)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფარესაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თეონა მაისურაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ლარისა თაკალანძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) თამარ ღამბაშიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) გიორგი ღაღანიძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) მარინე კობალავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

გ) მაია გიორგობიანი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

დ) თეა მუნჯიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ე) ბადრი რამიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ვ)ნინო ლაზვიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ზ) გიული ქეშელაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

თ) ნანული ოქრუაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ი) შოთა შაბურიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

კ) ნუგზარ პაიჭაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) მირონ ტუღუში - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

მ) ნატალია ხარაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ) დეა ფირცხალაიშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ო) ქეთევან ჩიტალაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **ელენე გოლოვაჩოვას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ქ. თბილისის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პოპულაციაში ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების გავრცელება“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: მანანა

კალანდაძე – მედიცინის დოქტორი, პროფესორი, თსუ ბავშთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ხელმძღვანელი; თინათინ მიქაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ ორთოდონტიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **ელენე გოლოვაჩოვას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ქეთევან კობახიძე - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ბ) რუსუდან ივანიშვილი - მედიცინის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ვლადიმერ მარგველაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი;

ბ) გიორგი მენაბდე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი;

გ) ქეთევან გოგილაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი;

დ) ნატალია მანჯავიძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

ე) თამარ შიშნიაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ვ) თამარ ლომიძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

ზ) თამარ ნემსაძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი;

თ) მამუკა გოგიბერიძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

ი) სოფიო ფუტურიძე - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ინგა სამხარაძის** რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „არაორდინარული ატმოსფერული პროცესებისა და გარემოს დაბინძურების ზოგიერთი საკითხების მოდელირება საქართველოს რთული ოროგრაფიის პირობებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ დავითაშვილი - თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ინგა სამხარაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) რევაზ შანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ნუგზარ გუბაძე - თსუ ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

გ) გიორგი კორძახია - სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ალექსანდრე შენგელაია - თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ოლეგ ხარშილაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

გ) მალხაზ გოჩიტაშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

დ) ამირან ბიბილაშვილი - თსუ ასოც. პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ე) ზაალ მაჭავარიანი - თსუ ასოც. პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

ვ) გიორგი ციციშვილი - თსუ ასოც. პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ზ) ავთანდილ ამირანაშვილი - თსუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

თ) ლარისა შენგელია - სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

ი) ზურაბ კერესელიძე - თსუ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

კ) გიორგი გელაძე - თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;
ლ) ნუგზარ სხირტლაძე - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი